აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევების მომსახურების შესყიდვა

(CPVკოდი 85110000)

<u>საავადმყოფოს და მასთან დაკავშირებული მომსახურებები</u>

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დავალება 3
2. დამატებითი ინფორმაცია.....4

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი 6

5. დანართი N1 11

6.დანართიN2(მომსახურების ხარჯთაღრიცხვა).....12

7. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა (დანართი N3) 13

ტექნიკური დავალება

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ხარისხიანი, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა მაღალტექნოლოგიური კვლევების მიღებასა და დაფინასებაში ხელშეწყობის გზით.

პროგრამის მოსარგებლე შეიძლება გახდეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი და მათი ოჯახის წევრი(მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე მცხოვრები (ნეიტრალური პასპორტის მქონე) პირი.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) დამტკიცებული ფორმის სამედიცინო დოკუმენტაცია (სათანადო სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა NIV-100/ა);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) დევნილის მოწმობის ქსეროასლი;

ე) არასრულწლოვანი ბენეფიციარებისთვის: დაბადების მოწმობის ქსეროასლი, მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ბავშვის დევნილის მოწმობის ქსეროასლი.

ვ) იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახის წევრთათვის (მეუღლე): ქორწინების მოწმობის ქსეროასლი და მეუღლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

ზ) აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის–პირადობის ნეიტრალური მოწმობის ასლი.

თ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებზე–შესაბამისი პლასტიკური ბარათის ქსეროასლი.

ამბულატორიული მომსახურების ღირებულების დაფინანსება მოხდება სამინისტროს სათანადო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ბენეფიციარის მხრიდან წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცის ბაზაზე. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ფინანსდება ბენეფიციარისთვის გაწეული მომსახურების ეპიზოდი ტენდერში გამარჯვებულ სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) მოწოდების შემდეგ.

პროგრამით განსაზღვრული მომსახურება განხორციელდება ქ. თბილისში, მაგრამ ითვალისწინებს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტეროტორიაზე მცხოვრებ პირთა მომსახურების დაფინანსებას.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს კომპიუტერულ ტომოგრაფიულ გამოკვლევას, კერძოდ კომპიუტერულ ტომოგრაფიას კონტრასტით.

დამატებითი ინფორმაცია

ა) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ბ) სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

გ) მომსახურება განხორციელდება „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების კონპონენტის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 20 დეკემბრამდე.

დ) სატენდერო წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში ლარში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

ე) ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელმა შესრულებული მომსახურების შესახებ დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვებში, ხოლო წლის ბოლოს **25 დეკემბრამდე**.

ვ) წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

ზ) პაციენტის მომსახურებას მიმწოდებელი განახორციელებს სამინისტროს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

თ) მომსახურება განხორციელდება ქალაქ თბილისში.

ი) გაწეული მომსახურების ღირებულების დაფარვა მოხდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების“ პროგრამის მიხედვით, კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების კონპონენტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებისა და ფაქტიურად შესრულებული მომსახურების შესაბამისად.

კ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით ან/ და სხვა ისეთი დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

ლ) მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N3–ში. დანართი N3–ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით

მ) <u>სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.</u>

ნ)პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს:

1) რეკვიზიტები, დანართი №1ის მიხედვით;

2) მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, დანართი №2ის მიხედვით;

3) დაწესებულების შესაბამისი საქმიანობის სალიცენზიო/სანებართვო მოწმობა;

4) დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ პერსონალი არის კვალიფიცირებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

5) ანგარიშსწორების პირობები.

ო) დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: თამარ გადელია აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას ქ. N16) მე3 სართული, ოთახი N8, ტელეფონი: 577092517.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში`შემსყიდველი”),-- სახით, და მეორე მხრივ, -- (შემდგომში„მიმწოდებელი“),-- სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების 2016 წლის პროგრამის შესაბამისად, შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (CPV——— კოდი, ტენდერის ნომერი SPA————) კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევების მომსახურების შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება (——————————) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 20 დეკემბრამდე

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების“ 2016 წლის პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. მიმწოდებლის მიერ პაციენტის მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო და ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი N2–ით (მომსახურების ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დადგენილ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. მხარეთა უფლება მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1.ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

5.1.2. გაარკვიოს პაციენტი (ან მისი წარმომადგენელი) თავის (პაციენტის) უფლება მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;

5.1.3. პროგრამის მოთხოვნის სრული დაცვით აღმოუჩინოს (გაუწიოს) შესაბამისი სამედიცინო დახმარება (მომსახურება) პაციენტს;

5.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ მომსახურეობის გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას (მაგ.: სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის შეჩერება, ჩამორთმევა და ა შ.).

5.1.5. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება ამ მუხლის 5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან “ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

5.2.2. მოითხოვოს„ შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება

5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.3.1. აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3.2. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

5.4. „შემსყიდველი“უფლებამოსილია:

5.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

5.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება– ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებელის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით (ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად), შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს პროგრამის კოორდინატორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თანაკოორდინატორი.

6.2.მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების მე–15 მუხლის 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირების დასკვნა გაწეული მომსახურების შესახებ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესწავლის საფუძველზე, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე.

6.3. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2. გადახდის ფორმა უნაღდო.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

9.1. ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %ის ოდენობით, ხოლო თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%ს.

9.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს–მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 იანვრამდე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული პირი (პირები), რომლებიც ატარებენ ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მომსახურების შესრულებისთვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

15.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

17.7 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი „შემსყიდველთან“.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას 16, საიდენტიფიკაციო კოდი №249250466	„მიმწოდებელი“

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევების მომსახურების

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი **„-------“ ---------- 2016**

წინამდებარე აქტს ვადგენთ, ერთის მხრივ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) ——————— ——— სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში „მიმწოდებელი“) ——————————— სახით, მასზედ, რომ 2016 წლის __ თებერვლის N ___ ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელმა“ განახორციელა _____ ლარის საქონლის მიწოდება.

წინამდებარე აქტი შედგენილია 2 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს - ----------——————————---- ლარს
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა -------——————————---------- ლარი.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------——————————---------- ლარი.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საქონლის ღირებულება ანაზღაურებულია ---------——————————---------- ლარი.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
----------ბ.ა.	----------ბ.ა.
_____	_____
	პროგრამის კოორდინატორი/თანაკოორდინატორი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება_____

N	**დასახელება**	**ეპიზოდი / ვიზიტი**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**საერთო ფასი (ლარი)**
1	კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით	60		
			სულ:	**15000 ლ**

სატენდერო წინადადების ფასი
_____15000_____

<u>შენიშვნა:</u> სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

_____
(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

დანართი#3

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,

_____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____სახელით,

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ_____

(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.

4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.

5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) სატენდერო წინადადების ფასი;

ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

_____

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის–სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლისშესაბამისად.